

საქართველოს



ფასი 3 მან.

კვირა, 4 აპრილი 1920 წ.

რეკლამები

შთავრების მომხმარებელი, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ.“ რესპ. 1920 წლისთვის.
გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. გან-
ცხადების ფასი პირველ გვ. პეტრიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან.
მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ. ზომისა 140 მ.
1 ინჩ. გაზეთი ნისიად არავის ვაგვზავდება. რედაქციის კანტორის
მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1-82.

სახელმწიფო თეატრი ს. ი. ველახიშვილის ხელმძღვანელობით

კვირას, 4 აპრილს დღითი

ვებანი ონებიანი
სალამოს ნ. ნ. ჩერეპინის ბენეფისი „სნეგუროვკა“. ორშაბათს 5 აპრილს, უკანასკნელი
გამოსახილვადი ვასტროლი ნინო პ. კოშციის 1) „ვეგენი ონებიანი“
(წერილის სცენა) 2) „პიკის ქალი“ (6 სურ.) 3) „ვერტერი“ (1 მოქ.) 4) „ოტელიო“ (4 მოქ.)
აპრილის 6-ს „სინათლე“. აპრილის 7 გ. ტაბიძის საღამო. აპრილის 8-ს მ. ნანობაშვილის
გასტროლ აურიის ქალი“.

ვაჭრობა-მრეწვ. დეპარტამენტი

ამით აცხადებს, რომ ამიერიდან საქონლის ნიშნის, საქარხნო ნახატის ან მოდელის დასამ-
ტკიცებლად აუცილებლად საჭიროა ზემოაღნიშნულ ნიშნებს ჰქონდეს უმთავრესი წარწერა
ჭარბულ ენაზე: უმთავრესი წარწერის შემდეგ მსუბუქვით შეუძლიანთ ამ ნიშნებს სხვა უცხო
ენაზე გაუქვითონ წარწერა. 3-3 389

ავროპულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი

ამით აცხადებს მეორე გამოცემითი აქციების ხელის მოწერათა საყურადღებოთ, რომ უკა-
ნასკენელი ვადა აქციების ფულის შემოტანისა დანიშნულია პირველ მაისს ამა 1920 წ. და
გინც ამ დროზე ხვედრ ფულს არ შემოიტანს, ბანკი იძულებული იქნება მოიქცეს ბანკის
წესდების მეტხრე მუხლის მიხედვით. 400 2-2

მ. თ. შიშინის სახელმწიფო დაწესებუ- ლების და სახელმწიფო გამგეობის

განყოფილება ამით აცხადებს, რომ წინანდალის სახელმწიფო მამულში იყიდება ნერგები,
ძირულები და ყლორტები სხვა და სხვა ვარდების, ყვავილების, ნაძვარის და სხვა დეკო-
რაციულ მცენარეების შეღავათიან ფასებში. ცნობებისათვის უნდა მიმართოთ თვითონ მა-
მულში ანდა მიწათმოქმედების სამინისტროში (სასოფლო-მეურნეობის და სახელმწიფო
მამულების განყოფილება). 405 1-1

ქ. ტფილისის სახელმწიფო დაწესებუ- ლებათა მოსამსახურეების

ცენტრალურ კავშირის გამგეობა ამით აცხადებს რომ ორშაბათს 5 აპრილს, საღამოს 6 სა-
ათზე მუშათა სასახლეში (რუსთაველის პროსპექტი არამიანციის სახლი) დანიშნულია სახელ-
მწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა სადღეგატო ყრილობა. განსახილველია შემდეგი
კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა და შევსება,
3) ახალი გამგეობის არჩევა და 4) მიმდინარე საკითხები. დასწრება ყველა დელეგატებისა
სავალდებულოა. 648

სწილის მიხედვით სახე- ლმწიფო საგანმანათლებლო

ამით აცხადებს, რომ ამ ჟამად თავისუფალია
უმცროსი ორდინატორის ადგილი თერაპევ-
ტიულ განყოფილებაში. ამ ადგილის დაკავე-
ბის მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა
ამა წლის 5 აპრილამდ უფროსი ექიმის სახე-
ლზე თავის ცხოვრების დაწვრილებითი აღ-
წერით curriculum vitae). 392 3-2

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

**ქალ. ოზურგეთის თვითმართვლობის
სათვის 300.000 მან. მოკლევადიანი
სესხის მიცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან
განათლების მინისტრის განკარგულებაში სა-
მასი ათასი (300.000) მანეთი ქალ. ოზურგე-
თის თვითმართვლობისათვის უპროცენტო
სესხის მისაცემად ადგილობრივი ქალთა გიმ-
ნაზისათვის შენობის შესამენად და მის გა-
დასაკეთებლად.
2. პირველ (I) მუხლში აღნიშნული თან-
ხა უნდა აენაზღაუროს ხაზინას ქალ. ოზურგე-
თის თვითმართვლობის მიერ ერთი წლის
განმავლობაში დღიდან სესხის მიღებისა.
3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წ. მარტის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდო-
მარის ამხანაგი
ექვთიმე თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. უორდანი.

დეკრეტი

**ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის
სამმართველოს გაუქმებისა და საქარ-
თველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელე-
გრაფის და ტელეფონის სამმართველოს
დაარსებისა.**

1. გაუქმებულ იქნეს ამა 1920 წლის იან-
ვრის 1-დან ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის
ოლქის სამმართველო და მისი შტატი.
2. დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის იან-
ვრის 1-დან საქართველოს რესპუბლიკის ფო-
სტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართ-
ველო თანახმად ამ დეკრეტთან დართული
შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.
3. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან
შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულე-
ბაში ამ დეკრეტის მეორე (2) მუხლში აღ-
ნიშნული საჭიროებისათვის ამა 1920 წლის
იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე ცხრას ოთხ-
მოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდახუთმეტი
(987.295) მანეთი.
4. მეორე მუხლში აღნიშნულ შტატებზე
არ ვრცელდება დამფუძნებელი კრების მიერ
ამ დეკრეტის მიღებამდე დაწესებული მომა-
ტებები.
5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან
მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წ. მარტის 26.

დამფუძნებელი კრების თავმჯდო-
მარის ამხ. ექვთიმე თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. უორდანი.

ფასი და ხარჯთ-აღრიცხვა. საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამ- მართველოსი 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.

სახელწოდება და თანამდებობა	რიცხვი	თითოეულს თვე- რად.		ყველის თვე- რად.	ყველის 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.	შენიშვნა.
		რად.	კოპ.			
სახელწოდება და თანამდებობა.						
1. სამმართველოს უფროსი	1	6500	6500	32500		
2. მისი თანამდებობა	1	5850	5850	29250		
3. კანცელარიის მმართველი (იგივე საქმის მწარ- მოებელი)	1	5320	5320	26600		
საერთო განყოფილება.						
4. განყოფილების უფროსი (იგივე კანცელარიის მმართველის თანამდებობა)	1	4820	4820	24100		
5. ფოსტა-ტელ. მოხელე I ხარისხისა	3	3930	11760	58800		
6. ფოსტა-ტელ. მოხელე III ხარისხისა	3	3620	10860	54300		
7. კანცელარიის მოხელე	10	2080	20800	104000		
საანგარიშო განყოფილება:						
8. განყოფილების უფროსი (იგივე უფროსი ბუხალტერი)	1	4820	4820	24100		
9. ფოსტა-ტელ. მოხელე I ხარ. (იგივე უფრო- სი ბუხალტერის თანამდებობა)	2	3920	7840	39200		
10. მოანგარიშე	2	2880	5760	28800		
11. კანცელარიის მოხელე	1	2080	2080	10400		
საინსპექციო განყოფილება:						
12. განყოფილების უფროსი (საგანგებო მინდო- ბილებათა მოხელე)	1	4820	4820	24100		
13. სავილე ფოსტა-ტელ. მოხელე	1	3920	3920	19600		
14. ფოსტა-ტელ. მოხელე I ხარისხ.	2	3920	7840	39200		
15. კანცელარიის მოხელე	1	2080	2080	10400		
ტექნიკური განყოფილება:						
16. მთავარი მექანიკოსი	1	5850	5850	29250		
17. უფროსი მექანიკოსი	2	4129	8240	41200		
18. უმცროსი მექანიკოსი მაღალი ჯამაგირით	2	3720	7440	37200		
19. მხანავი	1	3200	3200	16000		
20. ფოსტა-ტელ. მოხელე მე-V ხარისხ.	2	3120	6240	31200		
21. კანცელარიის მოხელე	1	2080	2080	10400		
რეგისტრატურა:						
22. არქივარუსი-რეგისტრატორი (იგივე I ხარისხ. მოხელე)	1	3920	3920	19600		
23. კანცელარიის მოხელე	2	2080	4160	20800		
ტელეფონზე მორიგეობა:						
24. კანცელარიის მოხელე	2	2080	4160	20800		
25. მანქანით გადამწერი	5	2080	10400	52000		
26. დარაჯი	7	1960	13720	68600		
27. მეწვრი	3	1960	5880	29400		
28. საგზაო და დღიური სარგოს ხარჯი	-	-	-	85495		
სულ	-	-	-	987295		

შენიშვნა 1: იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამსახურე მოთავსებული იქნება სახელმწი-
ფო ბინაში გარდა სამმართველოს უფროსისა, მის თანამდებობისა, კანცელარიის მმართველისა
და მთავარ-მექანიკოსისა, მის სრულ ჯამაგირის გამოაკლდება ბინის ქირის სახით ათი პრო-
ცენტი, ხოლო დაბალ მოსამსახურეთ: ფოსტალისათვის, დარაჯებს, დეპოების დამტარებლებს
და მეწვრეთ—ხუთი ცროცენტი (5%), ჯამაგირისა.
2: საპენსიო და საპარათა თანხისთვის გამოიკლება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ჯამაგი-
რის იმ ნაწილიდან, რომელიც დარჩება ბინის ქირის გამოკლებით.
1920 წ. მარტის 26-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

დეკრეტი

**ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორე-
პონდენციის ნიხრის გადიდებისა.**

1. დამფუძნებელი კრების 1919 წლის დე-
კრეტის 26-ს დაწესებული საფოსტო და სა-
ტელეგრაფო შინაგანი კორესპონდენციის ფა-
სი (უკანონო კრებული) 1919 წლის დეკ-
რეტი № 256) გადიდებულ იქნეს ამ დეკ-
რეტთან დართული ნიხრის თანახმად.
2. დეკრეტი ესე ძალაში შედის ამა 1920
წლის აპრილის 1-დან.
1920 წ. მარტის 26-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ნ. უორდანი.

ნიხრი

**ფოსტა-ტელეგრაფის შინაგანი კორე-
პონდენციისა.**

ახალი ნიხრი.

- 1) ბანდეროლები:
ა) ბეჭდითი ნაწარმებისთვის—ყოველ
15 გრამზე 30 კაპ. უმცირესი ერთი მანეთი.
ბ) საქმის ქაღალდებისთვის ადგილო-
ბრივი—ყოველ 15 გრამზე ან ნაწილზე 50
კაპ. უმცირესი 1 მანეთი.
გ) სხვაგან გასაგზავნისთვის—ყოველ 15
გრამზე ან ნაწილზე 1 მან. უმცირესი 4 მან.
დ) საქონლის ნიმუშებისთვის—იგივე რაც
საქმის ქაღალდებისთვის.
2) ღია წერილისთვის.

ა) ადგილობრივისთვის—1 მანეთი.
 ბ) სხვაგან გასაგზავნისთვის—2 მან.
 3) დახურული უბრალო წერილისთვის,
 ა) ადგილობრივისთვის—ყოველ 30 გრამზე 1 მანეთი უმცირესი 2 მანეთი.
 ბ) სხვაგან გასაგზავნისთვის—ყოველ 15 გრამზე ან ნაწილზე 4 მან.
 4) მისალოცი სადარბაზო ბარათისთვის.
 ა) ადგილობრივისთვის—ყოველ 15 გრამზე ან ნაწილზე 1 მან. უმცირესი 3 მანეთი.
 ბ) სხვაგან გასაგზავნისთვის—ყოველ 15 გრამზე ან ნაწილზე 5 მან.
 5) დახურული წერილებისთვის—წონის ფასი უბრალო წერილისა. დასაზღვევი 4 მ.
 6) ფასიანი წერილისთვის.
 ა) ადგილობრივისთვის—წონის ფასი უბრალო წერილისა, დასაზღვევი 10 მ. ან ნაწილზე 4 მანეთი.
 ბ) სხვაგან გასაგზავნისთვის—წონის ფასი უბრალო წერილისა. დასაზღვევი ადგილობრივის ფასიანი წერილისა.
 7) ფულის ბარათისთვის—ყოველ ას მანეთზე ან ნაწილზე 2 მანეთი უმცირესი 3 მანეთი.
 8) გაგზავნილის მიღების შეტყობინება.
 ა) ადგილობრივისთვის—2 მანეთი.
 ბ) სხვაგან გასაგზავნისთვის—4 მან.
 9) გაგზავნილ კორესპონდენციის მოძებნის, შეჩერების, დაბრუნების და მისამართის გამოცვლის განცხადებისთვის—თავითულ გაგზავნილზე ადგილობრივის 5 მანეთი, სხვაგან გაგზავნილის 8 მანეთი.
 10) შინ მიტანა საფოსტო ფულის ბარათისა და ფასიანი წერილისთვის—1000 მანეთამდე 8 მანეთი.
 11) სააბონემენტო უჯრების სარგებლობისთვის—ტფილისში ორასი მანეთი, ქუთაისისა და სოხუმში 150 მანეთი დანარჩენ ადგილებში 100 მანეთი.
 12) აპანათები:
 ა) უფასო—წონის ფასი 10) ვერსამდე გირვანქაში ერთი მანეთი უმცირესი გადასახადი 10 მანეთი, 100—200 ვერსამდე ვერ. 1 მან. 50 კაპ. უმცირესი თხუთმეტი მანეთი, 200—300-ვერსამდე გირვანქაში 2 მანეთი, უმცირესი 20 მანეთი, 300—500 ვერსამდე გირვანქაში 3 მანეთი უმცირესი გადასახადი 25 მანეთი. 500 ვერსზე მეტი გირვანქაში 4 მანეთი უმცირესი 30 მანეთი.
 ბ) ფასიანი აპანათი—წონის ფასი იგივე, რაც უფასო აპანათისა, დასაზღვევი, როგორც ფასიანი წერილისა.
 გ) შინ მიტანა აპანათისა—ყოველ ადგილებში 7 გირვანქამდე 5 მანეთი, 12 გირვანქამდე 10 მანეთი.
 13) პლომბის ან ლუქის ბეჭდის დასმისთვის—ამასთანავე პლომბის ან ლუქის ბეჭდის დასმისთვის 2 მანეთი, კონვერტის დალუქვისთვის 2 მანეთი.
 14) აპანათის შესანახი—დღე ლაქში 1 მან. 50 კაპ.
 15) ფასდადებული კორესპონდენცია—ყოველ 100 მანეთზე, ან მის ნაწილზე 4 მან.
 16) სრულებით, ან ნაწილობრივ ფასგადაუხდელი კორესპონდენცია—ერთი ორად მეტი გადაუხდელი ფასისა.
 17) გადაცემა და ჩაბარება დეპეშებისა:
 ა) ადგილობრივი—სიტყვა 2 მან.
 ბ) სხვაგან გადასაცემა—სიტყვა 4 მან.
 გ) სასწრაფო დეპეშა—ფასი ერთი სამად მეტი, ვიდრე უბრალოსი.
 დ) უბრალო დეპეშის გადაცემის შემოწმებით—ფასი ერთი ორად მეტი ვიდრე უბრალოსი.
 ე) სასწრაფო დეპეშის გადაცემის შემოწმებით—ფასი ერთი ოთხად მეტი ვიდრე უბრალოსი.
 ვ) რამოდენისამე მისამართიანი დეპეშა—ყოველ 100 სიტყვაში, ან მის ნაწილში 10 მანეთი მისამართების რაოდენობის მიხედვით. პირველი მისამართი არ ითვლება.
 ზ) მიღების შეტყობინება ტელეგრაფით—ათ სიტყვიანი უბრალო, ან სასწრაფო დეპეშის ფასი.
 თ) დეპეშის ტელეფონით გადაცემა—სიტყვაში 1 მანეთი.
 ი) სააგენტოს დეპეშები—სიტყვა 1 მ.
 კ) ფულის ბარათი დეპეშით—500 მანეთამდე 10 სიტყვიანი და 500 მანეთს ზევით 20 სიტყვიანი უბრალო დეპეშის ფასი.
 ლ) დეპეშები, რომლებსაც გზავნის რესპუბლიკის ბანკი, მისი განყოფილებანი, ხაზინა და ყოველი საზოგადო საკრედიტო დაწესებულება მესამე პირათვის ფულის, ან რაიმე ფასეულობის მიცემაზე—სიტყვების მიხედვით სასწრაფო დეპეშის ფასი.
 მ) შიკრიკით დეპეშის გზავნა ტელეგრაფის სადგურს გარეშე—თავითულ ვერსში 15 მანეთი.

ნ) პირობითი, ან შემოკლებული მისამართით სარგებლობა—წელიწადში 500 მან.
შენიშვნა 1: ტურნალ-გაზეთების გაგზავნისთვის დაწესდეს ბეჭდვითი ნაწარმოებთა ბანდოვლებისთვის ახალი ნიხრის ნახევარი.
შენიშვნა 2: მე-12 პარაგრაფში ნაჩვენები უმცირესი გადასახადი წესდება იმ ამანათებზე, რომელთა წონა 12 გირვ. არ აღემატება.
შენიშვნა 3: თანახმად საფოსტო დადგენილებათა მე-793 მუხლისა ამანათის შესანახად დაწესებული ქირა გადასდება მიმღებთ ერთი დღის შემდეგ, თუ ის ქალაქის, ან სოფლის ფარგლებში სცხოვრობს. ანგარიშში არ მიიღება უწყებების ჩაბარების დღის მომდევნო დღი უწყვეტ დღე, როდესაც საფოსტო ოპერაციების წარმოება აღკვეთილია. იმ შემთხვევაში, როდესაც ამანათის მიმღები ქალაქს გარეთ სცხოვრობს, სადაც უწყებებისთვის ფოსტა არ ახარებს, შესანახი ქირა გადასდება მიმღებთ ორი კვირის შემდეგ ამანათის გაგზავნის მიერ ნაჩვენებ ფოსტის დაწესებულებაში მიღებისა.
შენიშვნა 4: პასუხ-გადაუხდელი ღია წერილის ფასი დაწესდეს ერთი ორად მეტი, ვიდრე უბრალოსი.
 26 მარტი, 1920 წ.,
 დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ანგ. ექვთიმე თაყაიშვილი.
 რესპუბლიკის მთავრობის
 თავმჯდომარე ნ. ჟორდანიანი.

დეკრეტი

საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის მისაწყობად 9.786.000 მან. ქალაქებისა და ამავე საჭიროებისათვის 291.251 მან. და 40 კაპ ღირებული მასალის მიცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში ცხრა მილიონი შვიდას ოთხმოცდა ექვსი ათასი (9.786.000) მანეთი საქალაქთაშორისო ტელეფონის მოსაწყობად და ამავე საჭიროებისათვის მიეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს საწყობიდან ორას ოთხმოცდა თერთმეტი ათას ორმოცდა თერთმეტი მან. და 40 კაპ. (291.251 მან. 40 კაპ.) ღირებული სხვა და სხვა მასალა.
 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
 1920 წ. მარტის 30-ს,
 დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ანგნაგი ექვთიმე თაყაიშვილი.
 რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიანი.

დეკრეტი

რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის, ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის ადგილობრივ დაწესებულებათა შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. გაუქმდეს 1920 წლის იანვრის 1-დან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფილ რუსეთის იმპერიის მიერ დაარსებული ყველა ფოსტის, ტელეგრაფის, ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონისა და რკინის გზით ფოსტის მიმომზიდავი დაწესებულებანი, სახელდობრ: რკინის გზით ფოსტით მიმომზიდავი მერვე ნაწილის სამმართველო, ტფილისის ფოსტისა და ტელეგრაფის ცენტრალი პირველი კლასის კანტორა, ქუთაისისა და სოხუმის პირველი კლასის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები, ბორჯომის მეორე კლასის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, ფოთისა, გორისა და ახალციხის მესამე კლასის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები; აბასთუმანის, გუდაუთის, ხაშურის, ახალსენაკის, სიღნაღის, ვაგრის, თელავის და ქიათურის ფოსტა-ტელეგრაფის მეოთხე კლასის კანტორები; ახალქალაქის, ზუგდიდის, ზესტაფონის, მანგლისის, ახალ-ათონის, ოზურგეთის, ორგმირის, ფასანაურის, სამტრედიის და თიანეთის ფოსტა-ტელეგრაფის მეხუთე კლასის კანტორები; აბაშის, ლანჩხუთის, ონის, ხონის, ალავერდის, თეთრ-წყაროს, ცხინვალის, შულავის და წნორის-წყალის მეექვსე კლასის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები; აწყურის, ანანურის, ბაქურიანის, ბანძის, ბაშკირეთის, ბეშტაშენის, ხორაგულის, ველის-ციხის, ვორონცოვის, ვალის, გომბორის, გუდაურის, დიდ-ჯიხაშის, დრანდის, ეკატერინეფელის, ყაზბეგის, ყვარლის, კობის, კოჯრის, ლალიშის, მღვთის, მუხრანის, ნაოლაგის, ქვემო-მაჩხაანის, კნოვო-სტერლიცკის, ნატანების, ნავომარის, სადმელის, სართიკა-

ლის, საჩხერის, სუფსის, ძველ-სენაკის, ხაბუშის, ხობის, ხიდისთავის, ცაგერის, წელიწადის, წიხის, წიხის ქრებალისა და ჩოხატაურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებანი; ახმეტის, ანაკლიის, სალხინოს, ტყუბულის, ჩხარის, ხორვის, ხეთის, ვანის, სავარჯლოს, ძირულის, საჯევანოს, ნიგოთის, მუხრანის, ახალქალაქის, კიწიის, ფოსტის განყოფილებანი; ტფილისის რკინის გზის ფოსტის განყოფილება, ტფილისის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებანი, ტფილისის და ფოთის ტელეფონის ქსელის სადგურები, 1900 წლის იანვრის 24-ს კანონით დაარსებული ფოსტის ოპერაციები: ავქალის, ბოსლევის, ყარაიხის, გრაკალის, კალაგერანის, სკრის, ქარკის, შავალის, გომის, მოლითის, სანდარის, დარკვეთის, შორაპნის, საწირის, რიონის, ჯუმათის, სვირის, ახტალის, ფოილოს, წაღვერის, სუმბათოვის, გელათის, ხრესილის, ქალაქი-დის, სალიეთის რკინის გზის სადგურებზე; ასურეთის, აჭარის, თერჯოლის, შანხაზის, უზუნლარის, ქიდალოს, ტაშაქინის, პრივალნოეს, კურსების, გორდის და ტყვიავის სოფლის სამმართველოებში.
 2. დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის იანვრის 1-დან საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის პირველი (1), მეორე (2), მესამე (3), მეოთხე (4), მეხუთე (5) და მეექვსე (6) კლასის ფოსტის, ტელეგრაფის და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები, ფოსტა-ტელეგრაფის, ფოსტის, ტელეგრაფისა და რკინის გზით ფოსტის მიმომზიდავი განყოფილებანი თანახმად ამ დეკრეტთან დათვლილ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.
 3. ამ დეკრეტის მეორე (2) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე ოცდა ოთხმეტი მილიონი ორას ჩვიდმეტი ათას შვიდას ოთხმოცი (34.217.780) მანეთი შემდეგი განაწილებით: ა) ადგილობრივ დაწესებულებათა პირადი შედგენილობის შესანახად ოცდა ცამეტი მილიონი ორას ოცდა ორი ათას ორას ოთხმოცი (33.222.280) მანეთი, ბ) საგზაო და დღიური სარგოსათვის რვაას ორმოცდა ათი ათასი (350.000) მანეთი; გ) სწრაფ-მომქმედ მანქანაზე ფაქტურად მომუშავეთათვის დამატებითი სასყიდლის მისაცემად ას ოცდა ათასი (108.000) მანეთი და ინგლისური ენის მკოდნე და მომუშავე მოსამსახურეთათვის დამატებითი სასყიდლის მისაცემად ოცდა ჩვიდმეტი ათას ხუთასი (37.500) მანეთი.
 4. მეორე მუხლში აღნიშნულ შტატზე არ ვრცელდება დამფუძნებელი კრების მიერ ამ დეკრეტის დამტკიცებამდე დაწესებული მომეტები.
 5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
 1920 წ. მარტის 26-ს,
 დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ანგნაგი ექვთიმე თაყაიშვილი.
 რესპუბლიკის მთავრობის
 თავმჯდომარე ნ. ჟორდანიანი.

არა ოფიციალური განცხადება

მთავრობაში

30 მარტის ხსენება.
 დავსწრენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიანი; მინისტრები: ხომერკი, რაიმევილი, გეგეკეორი, ლორთქიფანიძე, არსენიძე, ვრამე, სახელმწი კონტრ. ანგ. ანდრონიკაშვილი.
 მინისტრთა ანგნაგები: ავალიანი, ცინცაძე, ჭავჭავაძე, ვედევანიშვილი, ქარცივაძე, ბახტაძე, დეპარტ. დირექტ. ბ. ჭიჭინაძე, ალშობაია, გ. ჟორდანიანი. ქალაქის მოურავი-ბ. ჩხაკიშვილი; საქმეთა მმართველი კ. ჯავარიძე, მდივანი დ. ლომთაძე.
ქუთაისის სავაჭრო მინისტრის ერობისათვის გადაცემა.
 ქუთაისის სავაჭრო მინისტრი გადაეცეს ქუთაისის სამხარო ერობას მასზედ აგრონომიული პუნქტის მოსაწყობად.
კრედიტი მომარაგების სამინისტროსათვის.
 გადაირიცხოს მომარაგების სამინისტროს განკარგულებაში 50 მილიონი მანეთი მთავრობის განკარგულებაში არსებულ 250 მილიონიან ფონდიდან.
ხესნი ქალაქის თვითმმართველობას.
 ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას

მიეცეს 30 მილიონი მანეთი სესხად, 10 წლის ვადით 3 1/2 პროცენტით წლიური სარგებლის გადახდევინებით. ამ სესხას განაღდება პირობები გამოიმუშაოს ფინანსთა მინისტრმა ქალაქის მოურავთან შეთანხმებით. სათანადო დეკრეტის წარდგენა დამფუძნებელი კრებისათვის დეველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.
შუამდგომლობის უარყოფა.
 შუამდგომლობა ქვევის საზოგადოების ლეჩხუმის მაზრიდან გამოყოფის და მისი რაიონის მაზრაზე მიწერის შესახებ უარყოფილ იქნას.
იძულებითი ჩამორთმევა.
 ხონის ქალაქის საბჭოს 1919 წ. 7 ოქტომბრის დადგენილება, ლუკა ლუკას ძე ბახტაძისაგან, ქალაქის საჭიროებისათვის უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევის შესახებ დამტკიცებულ იქნას.
შინაგან საქმეთა სამინისტროში
შუამდგომლობა.
 პერსიის გენერალურ საკონსულომ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა დაუბრუნდეთ პერსიის მოქალაქეთ: გასან ახმედ ოღლის, უსუფ ახმედ ოღლის და გასან კერბალა ასვერ ოღლის ჩამორთმეული ვერცხლის და ოქროს ფულები.
გაძარცვა.
 შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ მარტის 8-ს დამით ნეიტრალურ ზონაში, სადგურ კოპერის მაზრობლათ, ყაჩაღებს გაუწერებიათ მატარებელი, რომლითაც მიემგზავრებოდა ერივანში აზერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში ბ-ნი ახვერდოვი. ყაჩაღებს ბ-ნი ახვერდოვისათვის წაურთმევიათ 5.300,000 მან. ნაღდი ფული და 40,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთიულობა და მიმალულან.
სავაჭრო კონტაქტების გადამწყობა.
 რკინის გზის მილიციის უფროსის სამმართველომ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ა/წ. 20 მარტს, რკინის გზის კონტროლიორ-მექანიკს გვარამაძეს და ტელეგრაფის შედახვედველს ბახუაშვილს, სადგურ სანაანში, რკინის გზის მილიციამ დაიჭირა სატელეგრაფო ქონება, რომელიც ხსენებულმა პირებმა ქურდულათ გადასცეს სომხეთის რკინის გზის მოხელეებს. ამის შესახებ გამოძიებას აწარმოებს ნეიტრალურ ზონის კომისიარი; დაპატიმრებულნი გვარამაძე და ბახუაშვილი შესაფერისი ოქმით გადაეცა პირველ უზნის გზის ვაჭრობამდებელს.
ზესტაფონის გვარდიის შტაბი.
 შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ზესტაფონის გვარდიის შტაბისაგან:
 „გვარდიისკაში ჩვენ შტაბის რწმუნებულს საყვარელიძეს ადგილობრივმა კომისარმა ჩამოართვა და მიითვისა ერთი ვაგონი სიმინდი და ხორბალი შტაბის გვარდიელების ოჯახებისათვის შექმნილი. გთხოვთ განკარგულუბას, რათა აღნიშნული საოჯახო გადმოგვეცეს დანიშნულებისამებრ.“
ლტოლვილები.
 შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ სადგურ სანდარაში ჩამოსულან ყარსის ოლქიდან 988 ლტოლვილი შინაური საქონლით სადგურ ბორჯომში კი 72 ლტოლვილი. აზერბეიჯანის რესპუბლიკის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებული შუამდგომლობს, რათა აღნიშნულ ლტოლვილებს ნება დაერთოს საქართველოს ტერიტორიით აზერბეიჯანის რესპუბლიკაში გადასვლისა ზემოაღნიშნულ შინაური საქონლით.
შუამდგომლობა.
 სავაჭრო-სამრეწველო-პალატამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ტფილისში არსებული ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნების საზოგადოება „ქორამას“ ნება დაერთოს სადგურისაგან და კავთისხევიდან გადაზიდვის ტფილისში მანთაშევის ფირმიდან შექმნილი ლოკომობილი სხვა და სხვა ნაწილები, რომელნიც ამ ჯამად დაკავებულა ქვემოქალის რაიონის ერობის მილიციის მიერ.

დაფუძნებელი კრება

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.
 ქრ. შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: 1) არსნალის თოფის და ტყვიის მფრქვეველის სახელსნოს გაფართოებისა და გაზნების აღ-

საკურველ დროებითი სახელოსნოს მოწყობი-
სათვის 7.689,400 მან. გადადებისა, 2) სკო-
ლის გარეშე სწავლის მოსაწყობათ 2 მილიონ-
ნი მან. გადადებისა, 3) სახელმწიფო მამუ-
ლებში ნათესების გასაფართოებლათ 8.153,025
მან. გადადებისა, 4) მიწათ-მოქმედების მი-
ნისტრის განკარგულებაში 15 მილიონი მან-
ნეთის გადადებისა სათესლე მასალის შესა-
ძენად.

გ. გორგჯიძის მოხსენებით მიღებულ იქნა
დეკრეტი სახმედრო უწყების საქართველოს-
თვის 50 მილიონი მანეთის გადადებისა მოუ-
ლოდნელი ხარჯებისათვის.

ვ. ჭუბიაძის და **ვ. ცაბაძის** მოხსენებით მი-
ღებულ იქნა დეკრეტი ტფილისის ქალაქის
თვითმართვლობისათვის 30 მილიონი მანეთ-
ის სესხად მიცემისა. სესხი უზრუნველყო-
ფილია ქალაქის ქონებით, რომელიც 3 მი-
ლიონ მანეთის ქონებულებას აღმატება,
ხოლო ქალაქის ვალი, როგორც მოხსენები-
დან გამომდინარე ამ ქაზად უდრის 26 მილიონ
მანეთს.

მიღებულ იქნა აგრეთვე დეკრეტი ახალ
ციხის ერობისათვის 2 მილიონი მანეთის სეს-
ხად მიცემისა ერთი წლის ვადით, უპროცენ-
ტით.

ამ დროს დიპლომატიურ წარმომადგენლე-
ბის ლოჯის იკავებენ პოლონეთის წარმომად-
გენლები. თავმჯდომარე მათ შემდეგი სიტ-
ყვით მიმართავს:

ჩვენ შორის დღეს არის პოლონეთის წაო-
მომადგენელი. თქვენ კარგათ უწყით ისტო-
რია პოლონეთისა, პოლონეთმა განიცადა
იგივე ხვედრი, რაც საქართველომ. მისი ის-
ტორია განმეორება ჩვენი ისტორიისა, თათქ-
მის ერთ დროს დავკარგეთ თავისუფლება და
ერთ დროსვე დავიბრუნეთ ეს თავისუფლება.
როგორც პოლონეთის ერი, ტერიტორია და-
ნაწილებული იყო 3 იმპერიალისტურ სახელ-
მწიფოთა შორის, ისე ჩვენი ერიც, ჩვენი
ტერიტორიაც უკუშლართი ბედის წყალობით
დანაწილებული იყო ბოლოს და ბოლოს ოს-
მალეთსა და რუსეთს შორის. დღეს ერთმან-
და მეორემაც თავისუფლება მიინიჭეს, მაგრამ
პოლონეთი ჩვენზე უფრო ბედნიერი არის
მით რომ მან, მთლიანად დაიბრუნა თავისი
ტერიტორია, ჩვენ კი უდავო ჩვენი ტერიტო-
რიების ნაწილი სადავო გვაქვს და ჯერ-
ჯერობით არ დავიბრუნებთ, მაგრამ იმედი
გვაქვს, ჩვენ იმას დავიბრუნებთ ისე, როგორც
პოლონეთმა დაიბრუნა. ჩვენც დავიბრუნებთ,
გაქვირების დროშიც, როდესაც ჩვენ და პო-
ლონეთი ერთ და იმავე ტაფაზე ვიწოდით,
ბუნებრივი მოკავშირენი ვიყავით, თვითმ-
ყრობელობის დროსაც ჩვენ და პოლონეთის
შორის დამყარებული იყო მეგობრობა და
თავისუფლების დროს ეს მეგობრობა, რასაკ-
ვირველია, უფრო განმტკიცდება სილაშ-
მიუძღვნი პოლონეთის, სახელმწიფოს და
სემის (ტაში და ოვაციები).

ივ. გამართელი მოახსენებს კრებას დეკ-
რეტი გზათა უწყების განკარგულებაში
2,18195 მან. გადადების შესახებ წარსული
წლის ხარჯების დასაფარავად.

გ. ვეშაძელი აღნიშნავს გზა-ტრეცილების
შეკეთების საქმეებს და მოითხოვს, რომ
განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოხუმ-
ზუგდიდ-სენაკის გზა-ტრეცილს, რომელიც
ამ ქაზად ძლიერ გაფუჭებულია.

ბ. ჭიჭინაძე, (გზათა დეპარტამენტის უფ-
როსი) აცხადებს, რომ გზა-ტრეცილები მართ-
ლად უნდა იყოს მდგომარეობაშია, მაგრამ მა-
თი შეკეთება დიდ თანხას მოითხოვს. ამ გზა-
ტრეცილების შესაკეთებლათ დაახლოებით
საჭიროა სამი მილიონი მანეთი, რომლის
გაღება ჩვენს ხაზინას დღევანდელ პირობებში
არ შეუძლია, ამიტომ უწყებამ შეიმუშავა კა-
ნონ-პროექტი და გეგმა ამ გზა-ტრეცილების
სხვა საშუალებით შეკეთებისა. ასეთ საშუა-
ლებათ განზრახულია ნატურალური ბეგარის
გამოყენება და ეს კანონ-პროექტი ამ დღეებ-
ში წარედგინება დამფ. კრებასო.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ ეს დეკრე-
ტი მიღებულ იქნა.

ი. ხალაყაძის მოხსენებით მეორეთ გან-
ხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი
ქუთაისში მეორე ხარისხის საბაჟოს დაარსე-
ბის შესახებ.

გ. გორგჯიძის მოხსენებით მეორეთ გან-
ხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი
რესპუბლიკის საპრობილეთა შტატისა და
ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ვ. ცაბაძის მოხსენებით მეორეთ განხი-
ლულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი გზა-
თა დეპარტამენტის ცენტრალური ორგანოს
შტატის გადიდებისა და ჯამგარის მომატების
შესახებ.

ი. იშნაიშვილის მოხსენებით მეორეთ გან-
ხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-
სასანიტარო განყოფილების, სავეტერინარო
პერსონალის და შრატის დამზადებელ სად-
გურის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამ-
ტკიცების შესახებ.

ი. იშნაიშვილი მოხსენებით მიღებულ
იქნა დეკრეტი—მთავრობის სახლის დამწვარი
ნაწილის შესაკეთებლათ, ცეცხლის საწინააღ-
მდეგო მოწყობილობის შესაძენათ და სხვა
სააღმშენებლო საქმეებისათვის 1.688.00
მან. გადადების შესახებ.

ვ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დე-
კრეტი პროპორციული სააქციო გადასახ-
ლის დაწესებისა.

დასასრულ მიღებულ იქნა საბოლოო ტექ-
სტო დეკრეტებისა: 1) სახმედრო უწყების სა-
ქმეებისათვის 50 მილიონი მანეთის გადა-
დებისა, 2) ტფილისის ქალაქის თვითმართვე-
ლობისათვის 30 მილ. მანეთის სესხად მიცე-
მისა და ახალციხის ერობისათვის 2 მილიონი
მან. სესხად მიცემისა.

პოლონეთის რწმუნებულ მი- ნისტრის მისალმება

პოლონეთის რწმუნებულმა მიწმინსტრმა შემ-
დეგი სიტყვით მიმართა გარეშე საქ. მიწმინსტრს
ი. ვ. გეგეჭკორს:

თქვენი აღმატებულებავ! ჩემმა მთავრო-
ბამ დამავალა შევასრულო ორი საპა-
ტიო მისსია: მივესალმო საქართველოს და
განვამტკიცო მეგობრული განწყობილობა,
რომელიც შეაერთებს ორივე ჩვენ ხალხს. მე
ბედნიერი ვარ. როგორც პოლონეთის პირვე-
ლი ოფიციალური წარმომადგენელი, ჩვენ
მთავრობის დავალებით გამოვთქვამ გულწრფე-
ლი გრძობაწი. საქართველო თავის ძველი
კულტურით და ტომით ეკუთვნის ევროპის
ცივილიზაციას; ის ჩამოშორებული იყო ამ
უკანასკნელს და ვარს შემორტყმული იყო
სხვა ხალხთა ჩამომავლობით. დაუსრულებელ
ბრძოლით მრავალ მტერთა წინააღმდეგ, სა-
ქართველომ შესძლო თავის ნაციონალური
სახის შენარჩუნება. ჯერ ისევ დიდი თამარის
დროს ბ-ნო მიწმინსტრო, საქართველომ მია-
ხწია უმაღლეს ეროვნულ განვითარებამდის.
ამ ბრწყინვალე ხანის შემდეგ, საქართველოს
გარეშე მდგომარეობა შეიცვალა, შეაჩერეს
მისი პროგრესი და ემუქრებოდნენ ქართველი
ერის არსებობას. მეცამეტე საუკუნის ბოლოს,
პოლონეთი დაეცა თავის სამი მეზობელ გერა-
გულ იმპერიალიზმისგან; საქართველომაც,
რომელიც ეწეოდა რუსეთის მეფეების დაპირე-
ბას გაიზარა პოლონეთის ბედი. ორივე ჩვე-
ნი ქვეყანა იტანჯებოდა საუბუნეზე მტერ
ერთი და იმავე რეჟიმის ხელში, ჩვენც ვცხოვ-
რობდით ერთ და იმავე მისწრაფებით და
იმედებით. პოლონეთის და საქართველოს
საუბუნესო შვილებს წილად ხდა ერთი და
იგივე ბედი ცივ და ჰოობიან ციმბირში. მსოფ-
ლია ომმა და ახალ დემოკრატიის მონარ-
ქიაზე ბრწყინვალე გამარჯვებამ—საშუალება
მისცა ჩვენ ხალხს აღედგინად სახელმწიფოე-
ბი. ის სინაჟული, რომელსაც ჩვენა ვგრძ-
ნობთ, პოლონეთში, არ იქნებოდა სრული,
რომ ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა მიე-
სალმებოდით თავისუფალ საქართველოს და
სხვა ერებს, რომელნიც განთავისუფლდნენ
რუსეთის და გერმანელების მონობისგან.
ორივე ერის საკეთილდღეოდ მე ყოველგვარ
საშუალებას ვიხმარ რომ პირნათლად შევას-
რულო ჩემი მისსია, რაშიაც ღრმად დარწმუ-
ნებული ვარ, თქვენი აღმატებულებავ, ხელს
შემიწყობს საქართველოს მთავრობა.

უცხოეთი

**არგენტინაში სოციალისტთა და რადი-
კალთა გამარჯვება**

პარლამენტის არჩევნებში უმეტესი ხმა მი-
იღეს სოციალისტებმა და რადიკალებმა. დე-
მოკრატებიდან ძალიან მცირე რიცხვი გავიდა.

ჰუნგრეთის ახალი კაბინეთი

მოგვყავს ჰუნგრეთის ახალი კაბინეთის შე-
მადგენლობის სია: მიწმინსტრ-პრეზიდენტი და
შინაგან საქმეთა მიწმინსტრი სიმაოლი-სემა-
დანი; გარეშე საქმეთა მიწმინსტრი გრაფ ტე-
ლეკი; სახმედრო მიწმინსტრი გენ. სოსი; ვა-
ჭრობა-მრეწველობის—ჩარონი კორანი; ოუს-
ტიციის ექ. ფერდინანდი; მიწათ-მოქმედების
რწმინსტი; განათლების—რალოერი; ჯანმრთე-
ლობის—ექ. ბერნარდი, მომარაგების—სკაბო.

**გერმანიის კონტრ-რევოლუციონერთა
განზრახვა.**

გაზეთ „ტანის“ გადმოცემით გერმანიის
კონტრ-რევოლუციონის სულის ჩამდგმელთა
აზრი ყოფილა ის, რომ მათ როგორმე მოა-

ხერხონ მონარქიის აღდგენა ინგლისის სა-
ხელმწიფოს საფუძველზე. მათ უნდოდათ ჰი-
ნდენბურგის პრეზიდენტად გამოცხადება,
რომლის შემდეგ დასმული იქნება შეკითხვა:
„მონარქია თუ რესპუბლიკა?“ თუ ხალხის უმ-
რავლესობამ მონარქია მოინდომა, მაშინ ტან-
ტზე აიყვანენ კრონ-პრინც ფრიდრიხ-ვილ-
ჰელმს.

**ინგლისის კალიციური მმართვე-
ლობა.**

გაზეთი „დეილ-მეილი“-ს გადმოცემით,
ლორიდ-ჯორჯის გადაწყვეტა დღევან-
დელ კალიციონურ ამართვლობის დაბო-
ლოვება, მის ადვილს დაიქვს ახალი უნიო-
ნისტთა პარტია. ლორიდ-ჯორჯიმ დანიშნა
ლიბერალთა კრება ამ ახალ პროექტის გასა-
წინააღმდეგ. რამდენიმე ხნის შემდეგ მანიფესტის
სახით გამოქვეყნდება ეს პროექტის ჯორჯის
და ბონარ ლოუს ხელის მოწერით. ამავ დროს
გამოცხადდება ახალი მთავრობის ოეგრგანი-
ზაცია.

ამერიკის რესპუბლიკები.

სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებს არ უნ-
დათ შეერთებულ შტატების პროტექტორია-
ტის ქვეშ ყოფნა. თუ ვინცობაში შეერთებუ-
ლი შტატები დაადგებიან იმპერიალიზმის
გზას მაშინ სამხრეთ ამერიკა, ბრაზილით,
ძიულბული იქნება შექმნას თავდაცვით კავ-
შირი და მატერიკის გარეშე ეძიოს დასაყრ-
დობი წერტილი.

დეკრეტები

(საქ. დეპ. საავენტოსიდან)

ბალშევიკური ცნობები.

დანიის რესპუბლიკა. ლუგანსკში აამუშავეს
უდიდესი ორთქლმავალთა საკეთებელი ქარ-
ხანა.

მარშანსკი I. მორშანსკის სამაზრო პარ-
ტიამ მოიწვია ოცდაათი კომუნისტი გლეხი
საბჭოთა მუშაკების ნაყოფიერების გასა-
ძლიერებლათ.

მისკოვი, სამხედრო ცნობები. დასავლეთის
ფრონტზე მზირ-რეიტის რკინის გზის რა-
იონში სასტიკი ბრძოლებია. ოგორსკორს-
ტენის რაიონში ჩვენი ნაწილები ცვალებ-
დი ხასიათის ომს აწარმოებენ. ლეტინგ-
უშაის რაიონში სასტიკი ბრძოლებია მტრის
მნიშვნელოვან ნაწილებთან.

კავკასიის ფრონტზე. მიკოპის რაიონში
ჩვენი ნაწილები ტუპასის რკინის გზის გას-
წვრავ შეტევას აწარმოებენ. პეტროვსკის
რაიონში მტერი განაგრძობდა ზღვიდან პე-
ტროვსკისადმი ყუბარების სროლას.

მოსკოვი, 3 აპრილი. ლტვიის საგარეო სა-
ქმეთა მიწმინსტრმა ჩიჩერინს გამოუგზავნა დე-
პეშე—საზავო მოლაპარაკების დაწყების წი-
ნადღეობით. ლიტვა საჭირო პირობათ სთვლის
რომ იტონ მისი დამოუკიდებლობა ლიტვე-
ლთა მიერ დასახლებულ ადგილთა საზღვრე-
ბში, რომელიც შეიცავს: ყოფილ ვილნის,
კოვონს, გროდნოსა და სუვალიკის გუბერნიებს
სატანტო ქალაქ ვილნოთი. რუსეთის საბჭო-
თა მთავრობის სახელით ჩიჩერინმა თანხმობა
გამოაცხადა ზემო აღნიშნულ პირობებში მო-
ლაპარაკების დაწყების და წინადადება მის-
ცა მას, რომ მოლაპარაკება დაიწყონ მოს-
კოვში 15 აპრილს. ჩიჩერინის წინადადებაზე,
რომ პოლონეთთან საზავო მოლაპარაკების-
თვის ნეიტრალურს ქვეყნის რომელიმე ქალა-
ქი ამოირჩიონ, პოლონეთმა თანხმობით უპა-
სუხეს. ფინეთის საგარეო საქმეთა მიწმინსტრმა
თანხმობა განაცხადა საბჭოთა რუსეთთან სა-
ზავო მოლაპარაკების დაწყებაზე, მაგრამ აუ-
ცილებელ პირობათ სთქვის, რომ სამხედრო
მოქმედებანი შეწყვეტონ იქნეს 1 აპრილიდან
და რომ მოლაპარაკების დაწყებიდან წითე-
ლმა გაანთავისუფლონ პეტენგა და ფინე-
თის ჯარისკაცებს შეძლება მისცენ წი-
ნეთ დაქერილ პოზიციებზე დაბრუნებისა. ჩი-
ჩერინმა განაცხადა რა თანხმობა დროებით
ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყებისა,
შენიშნა, რომ რადგანაც საბჭოთა რუსეთი
არ არის დამარცხებული მხარი, იგი უარს არ
განაცხადებს მის მიერ დაპყრობილ ადგილებ-
ზე მანამდის, სანამ დროებითი ზავის შესა-
ხებ პირობები საბოლოოდ დამტკიცებული
არ იქნება. ამის გამო ჩიჩერინმა საბჭოთა
მთავრობის სახელით განაცხადა, რომ იგი
უტკერის საწმუხარო აუცილებლობას განაგრ-
ძონ სამხედრო ოპერაციები მანამდის, სანამ
ფინეთიდან უფრო დამაკმაყოფილებელ პა-
სუხს არ მიიღებენ. ლატვიის წარმომადგენ-
ლები საზავო მოლაპარაკებისათვის მოსკოვში
წამოვიდნენ.

უზრეთის საბჭოთა მთავრობის თავმჯდო-
მარე ბელაკუნი ერთ წელზე მეტია, რაც ცი-
ხეში იტანჯება. მან და მისმა აშხანაგებმა

გამოაცხადეს შიმშილობა და განთავისუფლე-
ბას მოითხოვეს. ავსტრიის მთავრობა უარს
აცხადებს მათ განთავისუფლებაზე და ამტკი-
ყებს, რომ მას ეშინია მათი განთავისუფლე-
ბისა, რადგან შეიძლება, რომ ისინი მოკლან.
ჩერჩილმა პარლამენტის წინაშე წარმოადგი-
ნა დენიკინის შტაბთან მყოფ ინგლისის მისი-
ონის ანგარიში და თავისი სიტყვა გაათავა
განცხადებით, რომ დენიკინის ჯარის მდგო-
მარობა მეტად მძიმეა და საშუალებას არ
გვაძლევს იმედი ვიქონიოთ იმ ფულების უკან
მალე დაბრუნებაზე, რომელიც ინგლისმა დე-
ნიკინის ხელის შესაწყობათ დახარჯა. ინ-
გლისელმა მუშებმა გადასწყვიტეს თვეში ერთ
დღეს გაიფიკონ ინგლისის მიერ რუსეთი და
ირლანდიის საქმეებში ჩარევის საპროტეს-
ტოთ. პოლკოვნიკ სემინოვის რაზმები, რომ-
ლებიც ჩიტაში იყვნენ, წავიდნენ მანჯურია-
ში, სადაც ისინი ჩინელებმა განაიარაღეს.
ჩიტა-მანჯურიის რკინის გზა აჯანყებულთა
ხელშია.

პოლონეთის დიპლომატია ყოველმხრივით
სცილილობს დაჯეროს მოკავშირენი რომ საბ-
ჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებლო-
ბის აღდგენას, მანამდის, სანამ საყოველთაო
ზავი არ იქნება შეკრული, შეიძლება არა-
სასურველი შედეგები მოყვასო. პოლონეთს
იმედი ქონდა, რომ იგი რუსეთს ზავის პირო-
ბებს უკარნახებდა. ეხლა რუსეთს, რომელიც
გრძნობს თავის ძალას დასავლეთ ევროპის
წინაშე, შეუძლია რომ პოლონეთის ყურად-
ღებაც კი არ მიაქციოს. პოლონეთის ამ გან-
ცხადებებს მოკავშირენი არავითარ ყურად-
ღებას არ აქცევენ.

რევოლუცია. ვაზ. „დეილი“ სწერს: ჩვენ
თანდათანობით ვუახლოვდებით საბჭოთა
რუსეთთან ზავს. მისი წარმომადგენლები
უკვე ინგლისისაკენ მიემგზავრებიან. ერთა
ლივა ფიქრობს რუსეთში თავისი სავანგებო
კომისია გაავანვის.

კოპენჰაგენში გაიფიციენენ მეპურეები, ნავთ-
სადგურის მუშები და მეზღვაურნი. სწყდება
გემების მიმოსვლა. რკინის გზელებმა გადას-
წყვიტეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადე-
ბა.

ლიონი I. ესენში მთავრობის ჯარები შე-
ვიდნენ. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენ-
ლებმა კელნში მყოფ მოკავშირეთა კომისიას
განუცხადეს, რომ თუ ანტანტა მთავრობას
ნებას დართავს რურის ოლქში შესვლისას,
მაშინ ისინი დაანგრევენ ნანშირის ყველა მალა-
როებსა და ქარხნებს. რკინის გზების ხაზები
ნაოშებით არის სავსე, მიღებულია ზომები
ქარხნების ასაფეთქებლათ. ვესტის ფრონტ-
ზე სისხლის მღვრელი ომია. პროფ. კავში-
რებმა ულტიმატუმი წარადგინეს და მოით-
ხოვეს ჯარები არ გავზანონ შუა გერმანია-
ში, წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო
გაფიცვით იმუქრებიან. უკანასკნელი ცნობით
წითლებს დაღესტანის ოლქში დაუქვრიათ
ქალაქი თემირ-ხან-შურა.

სხვა და სხვა

მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ნ.
ქორდანი ლანჩხუთში გაემგზავრა.

სიღნაღიდან შემდეგი დეპეშა მავილეთ:
მოისმინა რა დამოუქმებელი კრების თავმ-
ჯდომარის უფროსი აშხანაზის ლომითაძის
მოხსენება თანამედროვე მომენტის შესახებ
მრავალ რეცხვანთა კრება სიღნაღის მოქა-
ლეთობა სრულიად იზიარებს მთავრობის პო-
ლიტიკას, დარწმუნებულია, რომ იგი ღირსე-
ულად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებ-
ლობას, მის საზღვრებს და არსებულ დემოკრა-
ტიულ წესწყობილებას და აღუთქვამს მას
რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ ბრძოლა-
ში სრულ დახმარებას თავმჯდომარე კრაწა-
შვილი.

ორშაბათს აპრილის 5-ს ფინანსთა სა-
მინისტროს საბჭოს სხდომაზე განხილული
იქნება შემდეგი საკითხები: 1) კანონ-პროექ-
ტი ზოგიერთ გადასახადების შესახებ. მოხ-
სენების წაიკითხავს ა. ოპოჩინი. 2) ფო-
თის ბანკის ვაჭრობა-მრეწველობის წესდება.
მომხს. ყორყოლაძე. 3) ფულის ტრიალის
რეფორმა. მომხს. კობლავსკი. 4) კანონ-
პროექტი და სხვა.

საქართველოს გარეშე საქმეთა მიწ-
მინსტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო აზერბეიჯანის
გარეშე საქმეთა მიწმინსტრ. ბ. ხან-ხოსიკი-
დან თანახმად თქვენთან პირდაპირ მოლაპარა-
კებისა გაცნობებთ, რომ აღერბეიჯანის მთავ-
რობა თანახმაა მიიღოს თქვენი წინადადება
5 აპრილს ქ. ტფილისში ამიერ-კავკასიის
რესპუბლიკის წარმომადგენელთა კონფერენ-
ციის დანიშვნის შესახებ. ამის შესახებ გაც-
ნობე სომხეთის გარეშე საქმეთა მიწმინსტრ-
საც.

დღეს, 4 აპრილს ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობა მოიწვევს მთავრობის წევრებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწიგნობრებს, სამუსიკო საზ. მის წევრებს და საქ. კოლოპერ. კავშ. გამგეობას, მოწვევთა კონცერტის მოსამზადებლად მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე კავშელა და ქართ. საოპერო სტუდია. დასაწყისი დღის 12 ს. პეტრე დიდის ქ. № 8.

ახლო მომავალში ტფილისში ჩამოვალიტვიას რესპუბლიკის საგანგებო მისია, რომლის მიზანია საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა გადადგა. ახლო მომავალში მოწვეული იქნება დრ. საზ. წევრთა საგანგებო სხდომა.

მესხეთ-ჯავახეთის სახალხო გვარდიის არაჩვეულებრივი საოლქო ყრილობა საღამოს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და აღუთქვამს მას დახმარებას იმ ბრძოლაში, რომელიც მას ისტორიამ დაეკისრა.

გაზ. „ვოლ. გორ“-ის ცნობით მთიულთა კომუნისტების კონფერენციას დაუდგენია დაარსდეს დაღესტანში მთიულეთის კომუნისტების დამოუკიდებელი პარტია, რომელმაც თავის წარმომადგენელი უნდა გაუგზავნოს მესამე ინტერნაციონალს. აგრეთვე განუზრახავათ ყველა მთიულ სოციალისტების შემადგენლებელი პარტიის დაარსება.

ახალციხის ერობის რწმუნებულთა ტფილისში დაინიშნა ვარლამ ძიძიგური.

კავკასიის სინოდალური კანტორა თანახმად მისი დადგენილების 17 მარტის 1920 წ. № 99 იწვევს მიტროფანე ტიმოფეის ძე ნიკოლაევის სინოდალურ კანტორაში, რომ კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გაზეთში მოთავსებისა, კანტორის მიერ მისა და მის მეუღლის აღეჭანდრა ნიკოლაევის განქორწინების შესახებ გამოტანილ დადგენილების ხელის მოსაწერათ. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ ვადაში გამოცხადებლობის გამო, დადგენილება № 99 შესრულებული იქნება. 536 3-3

ტფილისის განყოფილება აზოვო-დონის კომერციული ბანკისა ამით აცხადებს, რომ მათ მიერ გაცემული კვიტანცია ბარბალე სოკრატის ასული გიზზე, № 7266/1143 1919 წელს 13 ქრისტეშობისთვის, მიბარების და შენახვის 5 1/2 % ობლიგაციების II შინაური 1915 წლის სახელმწიფო სესხისა, ნომინალური ღირებულების 60000 მან. განცხადებულია დაკარგულათ რისთვისაც ზევით მოხსენებული კვიტანცია ითვლება გაუქმებულიათ. 537 3-2

გეურქ მიკირტიჩის ძე არუთინიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თავისი, ცოლის ტაკუინის და შვილის შუშანიკას პასპორტი. გაუქმებულად საითვალოს. (უ) 3-3

ტფილისის განყოფილება აზოვო-დონის კომერციული ბანკისა ამით აცხადებს, რომ მათ მიერ გაცემული კვიტანცია, ანგელ სოკრატის ძე გიზზე, № 7265/1142 1916 წელს 13 ქრისტეშობისთვის, მიბარების და შენახვის 5 1/2 % ობლიგაციების II შინაური სახელმწიფო სესხისა 1915 წლისა, ნომინალური ღირებულების მან. 60000-განცხადებულია დაკარგულათ, რისთვისაც ზევით მოხსენებული კვიტანცია ითვლება გაუქმებულიათ. 536 3-2

სილიბისტრო სიმონის ძე ჭელიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა ქუთ. სამეურნეო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი მიღებული ბახვის ეკლესიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 578 3-3

მარია მიხეილის ასული სუმბათოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიციის სამმართველოდან № 450. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 563 3-3

ივანე მიხეილის ძე სუმბათოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქ. პეტროვარადში № 250. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 562 3-3

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 26637 ექიმო ვ. ვ. შენგელიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 583 3-1

ვარლამ საჩინოს ძე გოგია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 26105. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 523 3-3

ვლადისლავი ავგუსტის ძე მორგელიძეს აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უფადო პასპორტი, მიღებული ლობნენიო (პოლონეთი) გმინიოს სამართველოდან № 280. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 594 3-2

ელენე ნიკოლოზის ასული ოვანჯანოვისა აცხადებს, რომ დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, შედგენილი 1906 წ. 17 მაის სიღნაღის ნოტარიუსის ჯაფარიძის მიერ და დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლო. უფროსი ნოტარიუსის მიერ რეგისტრით № 1051. ამავე მამულის პლანი № 33099, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 622 3-2

სილიბისტრო ალექსის ძე სვანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო ბარათი № 6613 სამი სულის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 478 3-3

გალუსტ ავეტისის ძე კარაბეტიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვადაგასული პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. მილიციის სამართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 559 3-3

დამიანე მალაქიას ძე ხუბუნაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სოფ. ზემოაკეთის კომისარიატიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 582 3-2

დაიკარგა ოთხი სულის სასურსათო წიგნაკი № 10782 ივანე ნიკოლოზის ძე იჩიკის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 618 3-3

სიმონ ირაკლის ძე ბერიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ტფ. მილიციის უფროსის სამართველოდან მიღებული 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 620 3-2

დაიკარგა საშინაო დავაჯი ეკატერინე იაკობის ასული მამაკოვის სახელზე, რომელიც მღებარეობს ზორა ბაშის ქუჩაზე № 21. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 623 3-2

ვასილ ზოსიმეს ძე ტოხვაძე აცხადებს, რომ დაჰკარგა მისი და ნესტორ ვაშკაძის სახლის დავთარი, რომელიც მღებარეობს კრწანისის ბაღებში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3-1 607

ტფ. სამიტროპოლიტო სასამართლოში ზაქარია ქრისტეფორეს ძე დულაშვილი შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ნინო გიორგის ასული, რომელზედც ჯვარი დაიწერა 1909 წ. უკვალად დაიკარგა 1912 წ., რის გამო აღნიშნული ზაქარია ქრისტეფორეს ძე დულაშვილი თხოვლობს ცოლისაგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ნინო გიორგის ასულის დულაშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 434 2-2

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი მარია როსტომის ასული კირვალაძის სახელზე № 2071. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 606 3-2

ისაკ მოტკოვის ძე ვიდგოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ლტოლვილის პასპორტი, რომელიც მას ჰქონდა მიცემული უმანის მეშენების სამართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 276 3-2

მარია კონსტანტინეს ასული გუგუნავასი აცხადებს, რომ მან ნატანებიდან ოზურგეთისკენ მგზავრობის დროს ავაზაკებმა წაართვეს ორი ვეჭილი თითო ხუთასი თუმნიონი, რომელიც ემართა ქალ. ტფ. მე-8 უბნის კომისარს სიმონ ტარიელის ძე ბოლქვაძეს, რომლის თავდება ქ. ტფ. მოვაკრე ტიტკო სილოვანის ძე თალაკვაძე. ორივე ვეჭილზე ხელს აწერენ სიმონ ბოლქვაძე და ტ. თალაკვაძე; 2. სახელმწიფო ბანკის წიგნაკი 10000 მანათის. 3. ვადანი პასპორტი და 4. პირადი ბარათი მიცემული ძიმიტის თემიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 331 3-2

ჯარისკაცი არსენ ბესარიონის ძე არსენიძე მსახურება პირველ ქვეითა პოლკში. 1918 წ. დეკემბერში გაწვეული იქნა სომხის ომში და მას აქეთ მისი აღარა ვიცით რა. ვთხოვთ თუ ვისმეს რაიმე ცნობები მოეპოება მასზე, შეგვატყობინოს 1-ლ ქვეითა ათასეულის შტაბში. 374 3-2

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ დავითის ძე ვანაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისმა ცოლმა ევრა ანატოლის ასულმა ვანაძისამ, რომელზედც ჯვარი დაიწერა პეტროვარადის საიმპერატორო დიდი მთავრისა ელენე პავლეს ასულის კლინიკის ინსტიტუტის ეკლესიაში 31 ღვინობისთვის 1910 წ. თავი დაანება მას 1915 წ. და უკვალად დაიკარგა, რის გამო აღნიშნული ნიკოლოზ ვანაძე თხოვლობს მისკან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ვერა ანატოლის ასულის ვანაძის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 520 3-2

სერგო ვასილის ძე ბაზაზოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ამიერ-კავკასიის გზათა სამინისტროდან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 621 3-3

ისხაკ მიხეილის ძე ჩიკვიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ექვსი თვის პასპორტი და მეტრიკული ამონაწერი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 275 3-2

ტროფიმე კონსტანტინეს ძე ზემლიანსკიმ განაცხადა, რომ მან დაჰკარგა მისა და მისი ცოლის სახელობის მამულის, რომელიც მღებარეობს ტფ. პირველ უბანში, ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ, რეგისტრით № 2159. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 612 3-2

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 32281 ვერა ნარეკელაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 617 3-2

პროკოფი ევნატეს ძე ნიკურაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დროებითი მოწმობა, მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსისაგან 1919 წ. 14 ნოემბერს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 397 3-2

დაკარგული აქციები ტყიბულის მთავანდნელობის საზოგადოების „ნახშირისი“ № № 376-3769, რომელიც ეკუთვნოდა შუშანიკა უკასოვა ზურაბოვისას. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 545 3-2

დაიკარგა ხუთი სულის სასურსათო წიგნაკი № 16372 ვლადიმერ ნიკოლოზის ძის ხვედელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 647 3-1

ალექსი ივანეს ძე იშუ აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ფეხსაცმელების წმენდის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3-1

ამერიკის კომიტეტის პურის დამრიგებელ განყოფილებაში დაიკარგა ანა თარხანოვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს 645 3-1

საქართველოს სახაზინო რეინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 15 აპრილს დღის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი და ზაგაფი.
ტვირთი: ბაქოდან—ფოთი № 1280 რიგ. № 68. (გამგზავნილი: სავაქრო სახლი ძმები ზურევიჩი—მიმღები: სავაქრო სახლი ძმები ზურევიჩი). 40 ც. ბოჭკები ცარიელი წონ. 90 ფუთი, ბათუმიდან—ნავთლული № 65958 რიგ. № 488 (გამგზავნილი და მიმღები უცნობი) 7 ც. იზოლიატორები და რკინის კოჭები წონ. 29 ფ. 35 გ. ძირულიდან—ტფილისი № 117818. რიგ. № 36 (გამგზავნილი ამხანაგობა—„შრომა“—მიმღები ამხანაგობა „მომუშავე“) 1 ც. ბოჭკა ცარიელი 2 ფ. გორიდან—ტფილისი № 120742 რიგ. № 35 (გამგზავნილი. ა. ქარშიძე მიმღები. ქარხანა „ზოშტარია“). 4 ც. რკინოულობის ნაწარმოების 6 ფ. ჩაქვიდან პაატეგორსკი № 66 რიგ. № 640 (ჩაქვის სახაზინო მამული—პაატეგორსკის სახელისნო) 1 ც. ბამბუკის ჯოხები 6 ფ. 30 გ.
ზაგაფი. კვიტანციით ტფილისი-ნოტანები № 93983 რიგ. № 74-4 ც.—2 ფ. 20 გ. ქუთაისიდან—ხეთი № 55990 რიგ. № 40-1 ც.—10 გ. ახალსენაკიდან—ქუთაისი № 65953 რიგ. № 32-1 ც.—20 გ. ტფილისიდან—ფოთი № 9506 რიგ. № 39-1 ც.—15 გ. ტფილისიდან—სამტრედიო № 87591 რიგ. № 33-1 ც.—4 გ. აბაშიდან—ფოთი № 42657 რიგ. № 38-1 ც.—27 გ. ტფილისიდან—სახჩერეში № 95869 რიგ. № 45-1 ც.—1 ფ. 2 გ. ხაშური—ტფილისი № 50646-1 ც.—3 ფ. 10 გ. კასპიდან—ტფილისი № 9121-1 ც.—38 გ. ქუთაისიდან—ტფილისი № 58973 1 ც.—10 გ. განჯიდან—ტფილისი № 919-1 ც.—1 ფ. 12 გ. აგარისიდან—ტფილისი № 5028-1 ც.—1 ფ. გორიდან—ტფილისი № 84903-1 ც.—25 გ. ხაშურიდან—ტფილ. № 50741-1 ც.—5 ფ. ტყვიბულიდან—ტფილისი № 12348-2 ც.—7 ფ. 15 გ. ძეგულიდან—ტფილისი № 11944 1 ც.—2 ფ. 30 გ. ბორჯომიდან—ტფილისი № 27552-1 ც.—30 გ. ერივანიდან—ტფილისი № 4156-1 ც.—12 გ. ჯაფარიდან—ტფილისი № 8786 1 ც.—05 გ. ნივითი—ტფილისი № 7620-4 ც.—10 ფ. ზუზანი—ტფილისი № 2528-4 ც.—4 ფ. 10 გ. ახალსენაკი—ტფილისი № 32746-1 ც.—35 გ.
უხანუთი. ზაგაფი: აქტიო სად. ბაქურიანი № 2. 1 ც.—3 ფ. 25 გ. აქტ. სად. ბაქურიანი № 4-2 ც.—9 ფ. 21 გ. აქტ. სად. ტფილისი № 536-4 ც.—15 გ. 3 გ. აქტ. სად. ტფილისი № 77-1 ც.—2 ფ. 10 გ. აქტ. № 406-1 ც.—5 ფ. 10 გ. აქტ. № 653-1 ც.—5 ფ. 18 გ. აქტ. № 655-1 ც.—4 ფ. 35 გ. აქტ. № 100-1 ც.—12 ფ. აქტ. № 99 1 ც.—2 ფ. 10 გ. აქტ. № 105-1 ც.—1 ფ. 35 გ. აქტ. № 103-1 ც.—10 გ. აქტ. № 651-1 ც.—6 ფ. 10 გ. აქტ. 656-1 ც.—1 ფ. 15 გ. აქტიო № 58, 59, 60, 62, 63, 64, 65, 66-8 ც.—4 ფ. ხელმეორედ გაყიდვად დაინიშნულია მეორე დღეს ა. წ. 17 აპრილს. 395 3-2

სომხეთი.

სომხეთის მთავრობის კაბინეტის ცვლილება.

სომხეთის მთავრობის ახალ კაბინეტის შემადგენლობაში არიან: მინისტრ-თავმჯდომარე—ა. ხატისოვი (უპორტფელოდ); გარე-შე საქ. მინისტრი—ა. ოვანჯანიანი; სამხედრო მინისტრი—რუბენ ტერ-მინასიანი, მის ახ. ხანაგად—გენერალი ახვერდოვი; არტილერიის ინსპექტორად—გენერალი არარატუანი გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი—ა. ჯამალიანი.

კილიკიის სომხების მოთხოვნები.

კილიკიის სომხობამ საფრანგეთის მთავრობას შემდეგი მოთხოვნები წაუყენა: 1) დაუყოვნებლივ გაიყვანონ საფრანგეთის სამხედრო ძალები კილიკიიდან, რომელთა საქციელი შეუფერებელია და ჩირქსა სტეებს საფრანგეთს, მათ მაგიერ გამოიგზავნონ სინდისიერი მოვალეობის აღმასრულებელი; 2) განამწესონ კილიკიაში სპეციალური კომისია, რომელშიაც იქნებიან მოკავშირეთა წარმომადგენლები და გამოიძიონ იმ პირთა მოქმედება, ვის მეოხებით მოხდა სომხეთის მცხოვრებლების აწიოკება და დარბევა. 3) დაუყოვნებლივ ანაზღაურონ სომხეთს მცხოვრებების ზარალი, რათა მათ შეძლებდნენ მიეცეთ თავიანთ კერას დაუბრუნდნენ; 4) გამოგზავნილ იქმნას კილიკიაში ჯარი და აღადგინონ წესიერება, რომ მომავალში რაიმე უბედურობას აღარ ჰქონდეს ადგილი.

ინგლისის ნაციონალური პარტია და სომხების მოთხოვნები.

ინგლისის ნაციონალურ პარტიის კომისიის სხდომაში, რომელსაც თავმჯდომარეობდა ლორდი რობერტ სესილი, შემდეგი რეზოლიუციის მიიღო: 1) ახალ სომხეთის რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს ვასასვლელი გზა შავ-ზღვაზე; 2) ბრიტანეთის მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს კილიკიაში დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებას, რომელიც შეიძლება იყოს საფრანგეთის მანდატის ქვეშ. 3) ოსმალეთთან ზავის შეკვრამ, სომხეთს გარანტია უნდა მისცეს, რომ ოსმალეთის სომხობა თავისუფლად გადმოსახლდება სომხეთის რესპუბლიკაში („სლ.“).

გ ა ნ ც ხ ა დ ე ზ ა ნ ი

სოფიო ივანეს ასული გოგიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უფადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიციის სამართველოდან № 1482 და ორი ბანკის წიგნაკი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3-2 585

სენაკის სამ. ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დაკარგულია თავისუფლების მოწმობა № 45, გაცემული სენაკის მაზრის სამხედრო კომისიის მიერ ტერენტი დგებუძის სახელზე. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 293 3-2